



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law

SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქმი № 4

„28“ 03

2019 წ

დადგენილება № 12

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის
მოსამზადებები კურსის ამოქმედების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდეს საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი.
2. მოსამზადებელი კურსის ჯგუფები დაკომპლექტდეს არანაკლებ 10 (ათი) მსმენელისაგან.
3. მეცადინებები ჩატარდეს:
 - ა) მათემატიკურ ნაწილში კვირაში ერთხელ 2 საათის ხანგრძლივობით;
 - ბ) ვერბალურ ნაწლში კვირაში ერთხელ 2 საათის ხანგრძლივობით.
4. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კურსის მსმენელები გათავისუფლდნენ მოსამზადებელ კურსზე სწავლის საფასურის გადახდისაგან.
5. პროფესორ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათობრივი ანაზღაურების წესით, უნივერსიტეტი არსებული რეგულაციის შესაბამისად.
6. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
7. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

J. გ. მ. ხ.

მაკა ბერიძე